

**თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის
შესრულების შესახებ**

თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2018 წლის 10 იანვარს და ბიუჯეტი განისაზღვრა 18741,80 ათასი ლარის ოდენობით. 2018 წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები - წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთიდან (3689,79519 ათ. ლარი) - 3640,73938ათ. ლარის ასახვით, (მ. შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 1353,19951 ათ. ლარი, (187,67514 ათ. ლარი - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; 32,75835 ათ. ლარი - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 04 თებერვლის #175 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; 909,9323 ათ. ლარი - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; 185,999 ათ. ლარი - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06 ივლისის #1401 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; 26,95904 ათ. ლარი - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის N34 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; 9,87568 ათ. ლარი - „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის საფუძველზე“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით გამოყოფილი თანხა;) და 2287,53987 ათ. ლარი - ნაშთი საკუთარი შემოსულობებიდან), აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის - 6222.753 ათ. ლარის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 02 თებერვლის N250 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის - 370,4 ათ. ლარის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ოქტომბრის N1951 განკარგულებით - „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონელისა და მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხის -600.0 ათ. ლარის და თელავის მუნიციპალიტეტსა და სამხრეთ კავკასიის GIZ-ს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 10,54391 ათ. ლარის შემოსულობებში და გადასახდელებში ასახვით და თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი ცვლილებების გათვალისწინებით განისაზღვრა 29586,24 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	25,445.50	7,193.15	18,252.34	26,047.62	6,629.37	19,418.25
გადასახადები	5,500.00	0.00	5,500.00	6,528.37	0.00	6,528.37
გრანტები	17,049.40	7,193.15	9,856.24	16,604.72	6,629.37	9,975.35
სხვა შემოსავლები	2,896.10	0.00	2,896.10	2,914.53	0.00	2,914.53

დასახელება	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	17,556.16	721.51	16,834.65	16,303.52	549.54	15,753.98
შრომის ანაზღაურება	2,772.50	0.00	2,772.50	2,551.13	0.00	2,551.13
საქონელი და მომსახურება	4,291.00	303.60	3,987.40	3,812.73	173.57	3,639.16
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
პროცენტი	204.39	0.00	204.39	204.39	0.00	204.39
სუბსიდიები	7,517.23	0.00	7,517.23	7,425.50	0.00	7,425.50
გრანტები	23.00	0.00	23.00	23.00	0.00	23.00
სოციალური უზრუნველყოფა	1,403.45	0.00	1,403.45	1,327.76	0.00	1,327.76
სხვა ხარჯები	1,344.59	417.91	926.68	959.00	375.97	583.03
საოპერაციო სალდო	7,889.34	6,471.64	1,417.69	9,744.11	6,079.83	3,664.28
არაფინანსური აქტივების ცვლილება	11,162.17	7,824.84	3,337.33	7,245.61	5,418.36	1,827.25
ზრდა	11,662.17	7,824.84	3,837.33	7,710.26	5,418.36	2,291.90
კლება	500.00	0.00	500.00	464.65	0.00	464.65
მთლიანი სალდო	-3,272.84	-1,353.20	-1,919.64	2,498.50	661.47	1,837.03
ფინანსური აქტივების ცვლილება	-3,640.74	-1,353.20	-2,287.54	2,130.59839	661.47	1,469.13
ზრდა	0.00	0.00	0.00	2,130.60	661.47	1,469.13
ვალუტა და დეპოზიტები	0.00			2,130.60	661.47	1,469.13
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	3,640.74	1,353.20	2,287.54	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	3,640.74	1,353.20	2,287.54	0.00		

დასახელება	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ცვლილება	-367.90	0.00	-367.90	-367.90	0.00	-367.90
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	367.90	0.00	367.90	367.90	0.00	367.90
საშინაო	367.90	0.00	367.90	367.90	0.00	367.90
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

ფაქტიური შემოსულობების მიხედვით:

შემოსავლების გეგმა 2018 წელს დაგეგმილი იყო 25445,5 ათ. ლარი, ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 26047,62 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 102,37%-ით:

გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა წლის განმავლობაში შეადგინა 6528,37 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 118,7%-ით.

- საშემოსავლო გადასახადი დაგეგმილი იყო 1700,0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 1770,72 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 104,16%-ით.

- ქონების გადასახადიდან 2018 წლის განმავლობაში შემოვიდა 4757,66 ათ. ლარი. ხოლო დაგეგმილი იყო 3800,0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 125,2%-ით

მათ შორის - საქართველოს საწარმოთა ქონებისა (გარდა მიწისა) შემოვიდა 3015,67 ათ. ლარი;

- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 1,85 ათ. ლარი;

- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 108,99 ათ. ლარი;

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 773,30 ათ. ლარი;

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 857,84 ათ. ლარი;

- გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 97,39%-ით, დაგეგმილი იყო 17049,4 ათ. ლარი, ფაქტმა შეადგინა 16604,72 ათ. ლარი, მათ შორის
 - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები - 10,55ათ. ლარი (თელავის მუნიციპალიტეტსა და სამხრეთ კავკასიის GIZ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსახორციელებელი პროექტის დასაფინანსებლად);
 - გათანაბრებითი ტრანსფერი – 100%-ით, გეგმა 9560,70 ათ. ლარი, ხოლო ფაქტი 9560,70 ათ. ლარი.
 - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 100%-ით, გეგმა - 285,0 ათ. ლარი, ფაქტი - 285,0 ათ. ლარი.
 - რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი -92.16%-ით ფაქტმა შეადგინა 6629.37 ათ. ლარი
 - სხვა ტრანსფერები - 119,10 ათ. ლარი (თელავის მუნიციპალიტეტის ქვ. ხოდაშნის საჯარო სკოლის რეაბილიტაციისათვის),
- სხვა შემოსავლები, დაგეგმილი იყო 2896,1ათ.ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 2914,53 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100,64%-ით.

აქედან: შემოსავლები საკუთრებიდან შემოსავალმა შეადგინა 746,46 ათ. ლარი მ.შ.:

პროცენტებიდან მიღებულმა შემოსავალმა წლის განმავლობაში შეადგინა 322,03ათ.ლარი. დაგეგმილი იყო 180,0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 178,90%-ით.

შემოსავალმა - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის -2018 წლის განმავლობაში შეადგინა 316,72 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 430,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 73,66%-ით;

შემოსავალმა მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 107,71 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 82,0ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 131,35%-ით.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია- დაგეგმილი იყო 1548,1 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 1631,472 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 105,39%-ით.მ.შ.:

- სანებართვო მოსაკრებელიდან შემოვიდა 80,808 ათ. ლარი.
- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელიდან შემოვიდა 0,016 ათ. ლარი;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელიდან შემოვიდა 4,6 ათ. ლარი; გეგმა შეადგენდა 3,0 ათ. ლარს, გეგმა შესრულდა 1,6 ათ. ლარის გადაჭარბებით.
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან შემოვიდა 1303,737 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 1294,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 100,75%-ით.
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსავალმა შეადგინა 203,846 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 200,0 ათ. ლარი და შესრულდა 101,92%-ით.
- შემოსავალმა მომსახურების გაწევიდან შეადგინა 38,465 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 26,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 147,94%-ით.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 80,76%-ით. დაგეგმილი იყო 650,0 ათ. ლარი. მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 524,92 ათ.ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა11,68ათ.ლარი. დაგეგმილი იყო - 6,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 194,67%-ით.

არაფინანსური აქტივების კლებიდან გეგმა შესრულდა 92,93%-ით, დაგეგმილი იყო 500,0 ათ. ლარი, ფაქტმა შეადგინა 464,65ათ.ლარი, მ.შ. 274.29 ათ.ლარი - ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (შემოსულობა სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა არესპუბლიკების ადგილ. თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფოს სარგებლობაშია), 190,36 ათ. ლარი - არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან: მ.შ. შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში

არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობებისა) ტერიტორიაზე 21,39 ათ. ლარი; შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან 108,9 ათ. ლარი; შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობებისა) ტერიტორიაზე 2,44 ათ. ლარი; შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან 6,82 ათ. ლარი; ხოლო შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან 50,81 ათ. ლარი.

სულ შემოსულობების გეგმა 2018 წლის განმავლობაში შესრულდა 102,18%-ით. 2018 წლის გეგმა იყო 25945,5 ათ. ლარი, მიღებულმა საკასო შემოსავალმა კი შეადგინა 26512,28 ათ. ლარი.

დასახელება	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	25,945.5	7,193.2	18,752.3	26,512.28	6,629.37	19,882.90
შემოსავლები	25,445.5	7,193.2	18,252.3	26,047.62	6,629.37	19,418.25
არაფინანსური აქტივების კლება	500.0	0.0	500.0	464.65	0.00	464.65
შემოსავლები	25,445.5	7,193.2	18,252.3	26,047.62	6,629.37	19,418.25
გადასახადები	5,500.0	0.0	5,500.0	6,528.37	0.00	6,528.37
საშემოსავლო გადასახადი	1,700.0		1,700.0	1,770.72		1,770.72
ქონების გადასახადი	3,800.0	0.0	3,800.0	4,757.66	0.00	4,757.66
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,100.0		2,100.0	3,015.67		3,015.67
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.000			1.85		1.85
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	40.0	0.0	40.0	108.99	0.00	108.99
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.0			1.14		1.14
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	40.0		40.0	107.85		107.85
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	800.0	0.0	800.0	773.30	0.00	773.30
ფიზიკურ პირებიდან	550.0		550.0	502.32		502.32
იურიდიულ პირებიდან	250.0		250.0	270.98		270.98
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	860.0	0.0	860.0	857.84	0.00	857.84

დასახელება	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ფიზიკურ პირებიდან	200.0		200.0	183.93		183.93
იურიდიულ პირებიდან	660.0		660.0	673.91		673.91
გრანტები	17,049.4	7,193.2	9,856.2	16,604.72	6,629.37	9,975.35
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	10.5	0.0	10.5	10.55	0.00	10.55
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	17,038.9	7,193.2	9,845.7	16,594.17	6,629.37	9,964.80
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	9,845.7	0.0	9,845.7	9,845.70	0.00	9,845.70
გათანაბრებითი ტრანსფერი	9,560.7		9,560.7	9,560.70		9,560.70
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	285.0		285.0	285.00		285.00
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	7,193.2	7,193.2	0.0	6,629.37	6,629.37	0.00
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	7,193.2	7,193.153	0.0	6,629.37	6,629.37	0.00
სხვა ტრანსფერები	0.000			119.10		119.10
სხვა შემოსავლები	2,896.1	0.0	2,896.1	2,914.53	0.00	2,914.53
შემოსავლები საკუთრებიდან	692.0	0.0	692.0	746.46	0.00	746.46
პროცენტები	180.0		180.0	322.03		322.03
რენტა	512.0	0.0	512.0	424.43	0.00	424.43
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	430.0		430.0	316.72		316.72
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	82.0		82.0	107.71		107.71
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,548.1	0.0	1,548.1	1,631.472	0.00	1,631.472
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,522.1	0.0	1,522.1	1,593.01	0.00	1,593.01
სანებართვო მოსაკრებელი	25.0		25.0	80.808		80.808
სახელმწიფო ბაჟი	0.050		0.050	0.00		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.050		0.050	0.016		0.016

დასახელება	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	3.0		3.0	4.60		4.60
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,294.0		1,294.0	1,303.737		1,303.737
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	200.0		200.0	203.846		203.846
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	26.0	0.0	26.0	38.465	0.00	38.465
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	26.0		26.0	38.465		38.465
ჯარიმები, სანქციები და საურავები	650.0		650.0	524.92		524.92
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	6.000		6.000	11.68		11.68
არაფინანსური აქტივების კლება	500.0	0.0	500.0	464.65	0.00	464.65
ძირითადი აქტივები	50.0		50.0	274.29		274.29
არაწარმოებული აქტივები	450.0	0.0	450.0	190.36	0.00	190.36
მიწა	450.0		450.0	190.36		190.36

რაც შეეხება გადასახდელებს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის გათვალისწინებით:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გადასახდელების გეგმა შესრულდა 89.2%-ით, გეგმით გათვალისწინებული იყო 4132.7 ათ. ლარი (აქედან სარეზერვო ფონდი 62.8 ათ. ლარი), ხოლო ფაქტმა შეადგინა 3687.44 ათ. ლარი. აქედან - თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის გეგმა შესრულდა 90.1%-ით, გეგმა - 3850.3 ათ. ლარი, ფაქტი- 3467.86 ათ. ლარი.

თავდაცვის დაფინანსებას დაგეგმილი იყო - 199.2 ათ. ლარი, ხოლო გადასახდელების ფაქტმა შეადგინა 133.5 ათ. ლარი.

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაფინანსება დაგეგმილი იყო 60.5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 34.94 ათ. ლარი, აღნიშნული გეგმის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მომსახურების ვადა გრძელდება 2019 წელს, რამაც გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა.

ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლოატაციის ხარჯებს, გეგმა შესრულდა 72.4%-ით. დაგეგმილი იყო - 7833.9 ათ. ლარი, შესრულდა 5668.49 ათ. ლარით.

გარემოს დაცვა - გეგმა შესრულდა 78.4%-ით. დაგეგმილი იყო - 1131.2 ათ. ლარი, შესრულდა 887.09 ათ. ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობის გეგმა, რომელიც მოიცავს წყალმომარაგების, გარე განათების, ბინათმშენებლობის და სხვა ღონისძიებების დაფინანსებას, შესრულდა 77.4%-ით. დაგეგმილი იყო - 4772.0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 3691.19 ათ. ლარი;

ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სფეროში გადასახდელების გეგმა შესრულდა 99.9%-ით. დაგეგმილი იყო 131.7 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 131.49 ათ. ლარი.

გადასახდელების გეგმა დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში შესრულდა 82.3%-ით. დაგეგმილი იყო 4376.7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3602.23 ათ. ლარი. განათლების სფეროში დაგეგმილი იყო -4939.2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4630.84 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 93.8%-ით.

რაც შეეხება სოციალურ დაცვას - გეგმა შესრულდა 94.2% -ით. დაგეგმილი იყო - 1641.0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1546.57 ათ. ლარი.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,132.7	0.0	4,132.7	3,687.44	0.00	3,687.44
7.01.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,913.1	0.0	3,913.1	3,467.86	0.00	3,467.86
7.01.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,850.3	0.0	3,850.3	3,467.86	0.00	3,467.86
7.01.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	62.8	0.0	62.8	0.00	0.00	0.00
7.01.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	204.6	0.0	204.6	204.57	0.00	204.57
7.01.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	15.0	0.0	15.0	15.00	0.00	15.00
702	თავდაცვა	199.2	0.0	199.2	133.50	0.00	133.50
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	60.5	0.0	60.5	34.94	0.00	34.94
7.03.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	60.5	0.0	60.5	34.94	0.00	34.94
704	ეკონომიკური საქმიანობა	7,833.9	6,409.2	1,424.7	5,668.49	4,607.89	1,060.59
7.04.5	ტრანსპორტი	7,808.9	6,384.2	1,424.7	5,668.49	4,607.89	1,060.59
7.04.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7,808.9	6,384.2	1,424.7	5,668.49	4,607.89	1,060.59
705	გარემოს დაცვა	1,131.2	263.8	867.5	887.09	102.17	784.92
7.05.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	767.4	0.0	767.4	734.93	0.00	734.93
7.05.2	ჩამდინარე წყლების მართვა	237.2	137.2	100.0	49.96	0.00	49.96
7.05.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	126.6	126.6	0.0	102.20	102.17	0.03
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4,772.0	1,190.2	3,581.8	3,691.19	818.42	2,872.78
7.06.1	ბინათმშენებლობა	1,035.8	417.9	617.9	698.51	375.97	322.54
7.06.3	წყალმომარაგება	2,028.2	735.5	1,292.7	1,533.35	408.51	1,124.84
7.06.4	გარე განათება	864.5	36.8	827.6	852.62	33.94	818.68

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
7.06.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	843.6	0.0	843.6	606.72	0.00	606.72
707	ჯანმრთელობის დაცვა	131.7	0.0	131.7	131.49	0.00	131.49
7.07.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	131.7	0.0	131.7	131.49	0.00	131.49
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4,376.7	321.7	4,055.1	3,602.23	276.32	3,325.91
7.08.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2,527.2	269.2	2,258.0	1,922.18	231.66	1,690.52
7.08.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,749.0	52.5	1,696.6	1,587.21	44.66	1,542.55
7.08.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.0	0.0	40.0	40.00	0.00	40.00
7.08.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	60.5	0.0	60.5	52.83	0.00	52.83
709	განათლება	4,939.2	361.5	4,577.7	4,630.84	163.10	4,467.74
7.09.1	სკოლამდელი აღზრდა	4,854.2	361.5	4,492.7	4,546.53	163.10	4,383.43
7.09.3	პროფესიული განათლება	85.0	0.0	85.0	84.31	0.00	84.31
710	სოციალური დაცვა	1,641.0	0.0	1,641.0	1,546.57	0.00	1,546.57
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	38.9	0.0	38.9	38.85	0.00	38.85
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	25.7	0.0	25.7	25.67	0.00	25.67
7.10.1.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	13.2	0.0	13.2	13.18	0.00	13.18
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	130.5	0.0	130.5	130.12	0.00	130.12
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	39.3	0.0	39.3	39.02	0.00	39.02
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	1,005.1	0.0	1,005.1	969.46	0.00	969.46
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	427.2	0.0	427.2	369.12	0.00	369.12
	სულ	29,218.3	8,546.4	20,672.0	24,013.78	5,967.90	18,045.87

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების შესახებ ანგარიში

თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები შესრულდა დასახული პრიორიტეტების გათვალისწინებით. ადგილობრივი ბიუჯეტით და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოსაფლავდა ქ. თელავის (ფალიაშვილის, ლალიძის, გურამიშვილის, პეტრე ბაგრატიონის, იაშვილის, ორაგუბის, დავით რექტორის, კვირიკე დიდის, ღვთისმშობლის, ყადორის) ქუჩები და მოასფალტდა სოფლების

(იყალთოს, ჯულაანის, კურდღელაურის) შიდა გზები. 2019 წელს გაგრძელდა სოფლების (სანიორეს, ბუმეტის, კისისხევის, აკურის) შიდა გზების მოასფალტება. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქუჩების ორმოული შეკეთება, საგზაო ნიშნების და მონიშვნების მოწესრიგება, შუქნიშნების მოვლა-პატრონობა. განხორციელდა 2018 წლის აგვისტოში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ქუჩების მოწესრიგება. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით, მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოწესრიგდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოები. განხორციელდა 2018 წლის იანვარში და აგვისტოში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების და სხვა ნაგებობების აღდგენა/შეკეთებისათვის მასალების შეძენა. მუნიციპალიტეტის სოფლებში მოეწყო გარე განათების ახალი ქსელები (სოფ. თეთრწყლები, ნაფარეული, ართანა, რუისპირი, აკურა, კონდოლი, ვანთა), აგრეთვე, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სოფ. ბუმეტში, სოფ. წინანდალში სასმელი წყლის სისტემების შიდა საუბნო ქსელების რეაბილიტაცია, გაგრძელდა სამუშაოები სოფ. გულგულაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე, აგრეთვე სოფ. ყარაჯალაში და სოფ. ლეჩურში ახალი ჭაბურღილების მოწყობაზე. სასმელი წყლის ჭაბურღილების შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ჭაბურღილების მუშაობაზე გახარჯული ელ. ენერჯის თანხის ანაზღაურება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა ქ. თელავის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სტიქიური ნაგავსაყრელების დასუფთავება, სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა, „უსახელო ხევის“ გაწმენდა სტიქიის შედეგად მოგროვილი ნატანებისაგან და სხვა ღონისძიებები. აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის სპეც. ტექნიკის შეძენა, დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (დასუფთავება), რაც წლის განმავლობაში რეგულარულად მიმდინარეობდა.

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტია სკოლამდელ განათლება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ააიპ „ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ში. ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღმზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. სასწავლო-სააღზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებების განხორციელება. 2018 წელს განხორციელდა სოფ. ნასამხრალის ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო და ეზოს შემოღობვის, სარინელას მოწყობის და გარე კანალიზაციის დაერთების სამუშაოები, სოფ. გულგულის, ლაფანყურის, ლალისყურის და ართანის საბავშვო ბაღებში გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები, სოფ. კონდოლის, თეთრწყლებისა და წინანდლის საბავშვო ბაღებში სამზარულოს და სამრეცხაოს რეაბილიტაცია, N 9 ბაგა-ბაღში განხორციელდა ჯგუფების და სპორტული ოთახების რეაბილიტაცია.

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის მიმართულებით, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი, განხორციელდა სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რესპუბლიკურ ღონისძიებებზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ორგანიზაციების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

თელავის მუნიციპალიტეტისათვის კვლავ პრიორიტეტია მოსახლეობაზე ზრუნვა, მათთვის სოციალური პირობების გაუმჯობესება. ყოველივე ამის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტში მოქმედებს სხვადასხვა სოციალური პროგრამა, რაც ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ავადმყოფთა, გაჭირვებულთა და სხვადასხვა სოციალურად დაუცველ პირთათვის, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორცაა ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც სოციალურად დაუცველი ახალშობილთა ოჯახების(ერთჯერად) დამრავალშვილიანი ოჯახების(ყოველთვიურად) ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირებზე ზრუნვა, მათი კვებით უზრუნველყოფა. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მედიკამენტებითა და სამედიცინო დახმარების მომსახურების დაფინანსება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსებას, გარდაცვლილ ვეტერანთა, დევნილთა, უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების, სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ღონისძიებების დაფინანსება და სხვა.

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის თელავის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვა, მობილიზება და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად 2018 წელს დაგეგმილი იყო - 199,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 133,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 67,02 %-ით.

ბ) საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)
აღნიშნულის ფარგლებში დაგეგმილი იყო 60,55 ათ.ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 34,94 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 57,7 %-ით, პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 65 ზოგადი ხედვის კამერა, განხორციელდა ნაწილის ინსტალაცია, გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, ანაზღაურება ხორციელდება ეტაპობრივად, მოთხოვნის შესაბამისად.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, წლის განმავლობაში განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის განსახორციელებლადწლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 7808,92 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5668,49 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 72,59%-ით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების (2017 წლის 14 მარტის #480, 2017 წლის 06 ივლისის #1401, 2018 წლის 18 იანვრის N136, 2018 წლის 24ოქტომბრის N1951 განკარგულებები) და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებებით განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები, მ.შ. ალაზნის გამზირზე მშენებარე სპორტული კომპლექსის მიმდებარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები და სოფ. ქვ. ხოდაშნის ცენტრალური გზის

მოსავალტების სამუშაოები, რომელიც დაიწყო 2017 წელს, დასრულდა 2018 წელს. 2018 წლის დაფინანსებით განხორციელდა ქ. თელავში, ლალიძის ქუჩის, ფალიაშვილის ქუჩის, გურამიშვილის, პეტრე ბაგრატიონის, იაშვილის, დავით რექტორის, კვირიკე დიდი, ღვთისმშობლის, ყადორის, ორაგუბის, ლერმონტოვის ქუჩების და სოფ.კურდღელაურის,ჯულაანის შიდა სასოფლო გზების მოსავალტება/რეაბილიტაცია, ხოლო სოფ. იყალთოს, კისისხევის, ბუმეტის აკურის, სანიორის შიდა სასოფლო გზების მოსავალტების სამუშაოები სრულდება 2019 წელს. პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება - ქალაქ თელავში (ქ. თელავის (უნივერსიტეტის, ჭავჭავაძის, ვაჩნაძის, გამარჯვების, მაგამედოვის, კავკასიონის, სენიაშვილის ქუჩები) და სოფლებში (სოფ. შალაური, კურდღელაური, კისისხევი, კონდოლი) მოსავალტებული ქუჩების აღდგენითი სამუშაოები (ასფალტის საფარის შეკეთება), ქალაქის ტერიტორიაზე მოეწყო საგზაო ნიშნები; მოეწყო სიჩქარის შემზღვეველი ხელოვნური ბორცვები; ზამთრის პერიოდში მოხდა თოვლისაგან გზის გაწმენდა; განხორციელდა გზების მონიშვნის სამუშაოები (დახაზვა);

წლის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, გაიზარდა რეაბილიტირებული გზების რაოდენობა, მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, დადგენილი წესების მიხედვით დარეგულირდა საგზაო მოძრაობა, რითიც ხელი ეწყობა მგზავრთა შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდა გარე-განათების, სანიაღვრე არხების სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, ბინათმშენებლობის ღონისძიებებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება, ქალაქ თელავის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სოფლად წყალმომარაგების სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საპირფარეოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები და სხვა.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გაიზარდა განათებული ქუჩების რაოდენობა და აგრეთვე განხორციელებული მოვლა-პატრონობის ღონისძიებებით წლის განმავლობაში შეიქმნა გარემო მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისათვის. გაუმჯობესდა სასმელი წყლით მომარაგება, უზრუნველყოფილ იქნა მუნიციპალიტეტის დასუფთავება წლის განმავლობაში, შეიქმნა კეთილმოწყობილი გარემო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტით (თანადაფინანსებით). უზრუნველყოფილ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეოების ფუნქციონირება.

ბ.ა) ბინათმშენებლობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქალაქში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენების პრინციპით წლის განმავლობაში განხორციელდა სადარბაზოების კეთილმოწყობის ღონისძიებები (ბმა „კავკასიონი“ - კავკასიონის ქ. #31, ბმა „იმედი 2“- რუსთაველის ქ. #85; ბმა „კავკასია I“ - კავკასიონის ქ.#47; ბმა „რუსთაველსი ქ.79“ - რუსთაველის ქ.#79, ბმა „ენისელი“ - კავკასიონის ქ.#39, ბმა „კავკასიონი #35“ - კავკასიონის ქ. #35, ბმა „კავკასიონი 2005“- კავკასიონის ქ. #37, ბმა „ალაზნის ველი“- ალაზნის გამზ. #14, ბმა „ერეკლე II #2“- ერეკლე მეორეს გამზ.#2, ბმა „ჯიმშერი“ - ალაზნის გამზ. #8.), ბმა „თაყაიშვილის 14“ - თაყაიშვილის ქ. #14-ში მოეწყო სახურავის საწრეტი მილები.

2018 წელს დაიწყო ქ. თელავში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლის (ერეკლე II გამზირი, N1) ფასადის რეაბილიტაცია, სამუშაოები დასრულდება 2019 წელს. ასევე განხორციელდა სტიქიისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების

აღდგენა/რეაბილიტაცია, შეძნილ იქნა მასალები დაზიანებული შენობა-ნაგებობების აღსადგენად (სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით).

2018 წელს ქვეპროგრამით დაგეგმილი იყო - 1035,84 ათ. ლარი, შესრულდა 698,51 ათ. ლარით, გეგმა შესრულდა 67,43%-ით. შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლის (ერეკლე II გამზირი, N1) ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების 2019 წელს გაგრძელებით. (სამუშაოები დასრულდება 2019 წლის 25 აგვისტოს ხელშეკრულების გათვალისწინებით), ასევე გამოწვეულია განხორციელებული სამუშაოების ფაქტიური შესრულებიდან და ტენდერის ჩატარებიდან წარმოქმნილი ეკონომიებით.

ბ.ბ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დაფინანსდა გარე-განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა, მოეწყო ახალი კვანძები (სოფ. თეთრწყლები, ნაფარეული, ართანა, რუისპირი, აკურა, კონდოლი, ვანთა), მოხდა გარე-განათებაზე წლის განმავლობაში გახარჯული ელ.ენერჯის ხარჯების დაფინანსება.

2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 864,47 ათ. ლარს, 2018 წლის განმავლობაში დაფინანსდა 827,64 ათ. ლარით, გეგმა შესრულდა 95,74 %-ით.

ბ.გ) გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03) აღნიშნულის ფარგლებში ღონისძიებების განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 1131,23 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 887,09 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 78,42%-ით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდებოდა ქ. თელავის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. განხორციელდა სტიქიური ნაგავსაყრელების დასუფთავება, სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა/ახლის მოწყობა, „უსახელო ხევის“ გაწმენდა სტიქიის შედეგად მოგროვილი ნატანებისაგან და სხვა ღონისძიებები.

ბ.გ.ა) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 01) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა ქ. თელავის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სტიქიური ნაგავსაყრელების დასუფთავება. 2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 767,45 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა -734,93 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 95,76%-ით.

ბ.გ.ბ) ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 02) ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდა არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება; 2018 წელს გაფორმდა ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სანიაღვრე არხების მოწყობაზე (სოფ. ვანთა, აკურა, ვარდისუბანი, ქ. თელავში ერისთავის ქუჩა) და აგრეთვე სტიქიისაგან დაზიანებული სანიაღვრე არხის მოწყობაზე, რომელთა დაფინანსება სამუშაოებიდან გამომდინარე განხორციელდება 2019 წელს, რამაც ძირითადად განაპირობა აღნიშნულ ქვეპროგრამაში გეგმის შეუსრულებლობა. განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 237,15 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 49,96 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 21,07%-ით.

ბ.გ.გ) გარემოს დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 03) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. თელავში ჭადრის ხის დაცვითი ღონისძიებებისთვის პროექტის შესყიდვა, აგრეთვე „უსახელო ხევის“ ნატანებისგან გაწმენდის სამუშაოები. დაზუსტებული გეგმა შეადგენს 126,63 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 102,20 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 80,71%-ით.

ბ.დ) სასმელი წყლის „სოკო“ (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით

(ფანტანი „სოკო) მომარაგების უზრუნველყოფა, მისი ხარჯების დაფინანსება; აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა მათზე ფაქტობრივად გახარჯული წყლის ღირებულება.

2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, წლის განმავლობაში დაფინანსდა 2,52 ათ. ლარით. გეგმა შესრულდა 50,5%-ით, გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ფაქტობრივად გახარჯული წყლის ღირებულების ანაზღაურებით.

ბ.ე) წყალმომარაგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით განხორციელდა ჭაბურღილების მოვლა-პატრონობა, ჭაბურღილებზე გახარჯული ელ. ენერჯის ღირებულების ანაზღაურება, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების შეკეთება, მოვლა-პატრონობა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება; სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა სოფ. ნაფარეულში, წინანდალში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ხოლო სოფ. გულგულაში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები და სოფ. ყარაჯალაში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები დასრულდება 2019 წელს. ადგილობრივი ბიუჯეტით, სოფ. ლეჩურში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილი, ხოლო ანაზღაურება განხორციელდა 2019 წელს.

2018 წელს დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2028,16 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ ზემოაღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად შეადგინა 1533,35 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 75,6%-ით.

ბ.ვ) საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 08)

წლის განმავლობაში ფინანსდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი საპირფარეშოების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ყოველდღიურ მოვლა-პატრონობის ხარჯი. სულ 2018 წელს დაგეგმილი იყო 20,46 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 19,84 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 96,97%-ით.

ბ.ზ) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05) ქვეპროგრამით დაგეგმილი იყო ქალაქ თელავის ტერიტორიაზე სტიქიისაგან დაზიანებული ნაპირსამაგრი ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია, აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 24,5 ათ. ლარი, რომელზეც გაფორმებულია ხელშეკრულება.

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის სპეც. ტექნიკის შეძენას, დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას (დასუფთავება), რაც წლის განმავლობაში რეგულარულად მიმდინარეობდა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შექმნილია მოსახლეობისათვის კეთილმოწყობილი გარემო, მოვლილია გამწვანებული ტერიტორიები, უზრუნველყოფილია წლის განმავლობაში სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (დასუფთავება).

2018 წელს დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 803,11 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 569,35 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 70,89%-ით. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ძირითადად სპეც. ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, სპეც. ტექნიკის 2019 წელს მიწოდებით.

გ.ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები(პროგრამული კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. თელავში „თელავის ხევის“ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარების მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულებები 2 ერთეული სპეც.ტექნიკის შეძენაზე. 2018

წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 708,61 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 474,92 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 67,02%-ით. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ერთი ერთეული სპეც. ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 2019 წელს მიწოდებით.

გ.ბ) პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამით განხორციელდა დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა. აღნიშნულის განსახორციელებლად 2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 60,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 59,98 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,97%-ით.

გ.გ) სასაფლაოების მოვლა პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 03)

2018 წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის (დასუფთავების) ღონისძიებების დაფინანსება. გეგმით გათვალისწინებული იყო 34,50 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 34,44 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,82%-ით.

დ) მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესადაა ურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება. 2018 წლის დაზუსტებულმა გეგმამ - 15,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 15,0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 ბაგა-ბაღი, ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღმზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით, ტექნიკური რეგლამენტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ“, გაწერილ ნორმების შესაბამისად აღსაზრდელთა კვებას, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. სასწავლო-სააღზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებების განხორციელებას.

განხორციელებული ღონისძიებებით გაიზარდა სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელთა რაოდენობა, მოწესრიგდა და განახლდა ინფრასტრუქტურა.

ა.ა) ა (ა) ი პ - თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო (პროგრამული კოდი 04 01 01) მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 ბაგა-ბაღი : N1 ბაგა - ბაღი, N3 ბაგა - ბაღი, N5 ბაგა - ბაღი, N8 ბაგა - ბაღი, N5 საბავშვო - ბაღი, N2 ბაგა-ბაღი, N6 ბაგა-ბაღი, N7 ბაგა - ბაღი, N9 ბაგა-ბაღი, სოფ.აკურის ბაგა-ბაღი, სოფ. ვანთის ბაგა-ბაღი, სოფ. ბუმეტის ბაგა-ბაღი, სოფ. ქვ.ხოდამნის ბაგა-ბაღი, სოფ. კონდოლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლალისყურის ბაგა-ბაღი, სოფ. კისისხევის ბაგა-ბაღი, სოფ. გულგულის ბაგა-ბაღი, სოფ. ვარდისუბნის ბაგა-ბაღი, სოფ. ყარაჯალის ბაგა-ბაღი, სოფ. რუისპირის ბაგა-ბაღი, სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღი, სოფ. სანიორის ბაგა-ბაღი, სოფ. თეთრწყლების ბაგა-ბაღი, სოფ. ფშავლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლაფანყურის ბაგა-ბაღი, სოფ. ართანის ბაგა-ბაღი, სოფ. შალაურის ბაგა-ბაღი, სოფ. კურდღელაურის საბავშვო

ბალი, სოფ. წინანდალის ბაგა-ბალი, სოფ. ნაფარეულის ბაგა-ბალი, სოფ. წინანდალის N2 ბაგა-ბალი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ „ბაგა-ბალების მართვის სააგენტო“-ში. მუნიციპალიტეტის ბაგა-ბალებში ირიცხებოდა 3180 აღსაზრდელი. 2018 წლის განმავლობაში სააგენტოს მუშაობის პრიორიტეტად განისაზღვრა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისათვის არსებულ სტანდარტებთან თანდათანობით დაახლოება. 2018 წლის განმავლობაში სრულად შეიცვალა ჭურჭელი, გაზქურები და სამაცივრე მოწყობილობები, სოფლის 5 ბაღში სრულად განახლდა რბილი ინვენტარი (ლეიბები და საბნები), საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციასთან ჩატარდა ღონისძიებები სკოლამდელი ინკლუზიური განათლების და ადრეული ინტერვენციის მიმართულებით, ASQ ტესტებით შეფასდა 96 აღსაზრდელი, ამათგან 76 აღსაზრდელი (ჩამორჩენა 2 და 3 სფეროში) ჩაერთო სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ქვეპროგრამაში, ხოლო 16 აღსაზრდელი ჩაერთო ადრეული ინტერვენციის პროგრამაში (4 და მეტ სფეროში ჩამორჩენა). 2018 წელს მომზადდა 15 გიგ (განვითარების ინდივიდუალური გეგმა) და ხორციელდება გეგმების შესრულების ინტესიური მონიტორინგი. სასწავლო სააღმზრდელო პროგრამა „აქტივობათა წიგნი“ დანართის მიხედვით სასწავლო თემების მიხედვით მომზადდა სამუშაო მასალები, წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სფეროში გადამზადების კურსები, მ. შ. „პირველადი დახმარების სპეციფიკა საბავშვო ბაღში“- გადამზადდა ბაგა-ბალების ექთნები, „აუტიზმის სპექტრის მქონე“ და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ასაკის შესაბამის ჯგუფებში უმტკივნეულოდ გადასვლასთან დაკავშირებით გადამზადდა 26 სპეც. აღმზრდელი.

ბაგა-ბალებში აღსაზრდელთა კვების ნორმები სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით, ტექნიკური რეგლამენტის - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ“, გაწერილ ნორმებს. მუნიციპალიტეტის ბაგა-ბალებში მკაცრად არის დაცული ჰიგიენური პირობები, ბაგა-ბალების მართვის სააგენტოს 3 კაციანი ჯგუფი ინტენსიურად ახორციელებს გაწერილი მოთხოვნების აღსრულებას ბაგა-ბალებში.

აღმზრდელობითი პროცესში, გარდა სასწავლო პროცესისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარება. წლის განმავლობაში ჩატარდა სასწავლო კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ჩატარდა სპორტული ღონისძიება „მხიარული სტარტები“ 31-ვე ბაღის მონაწილეობით, გამარჯვებულებს გადაეცათ სასაჩუქრე ვაუჩერები.

2018 წლის დაფინანსების გეგმამ შეადგინა 4192,0 ათ ლარი, საკასო შესრულება - 4153,11 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 99,07 %-ით.

ა.ბ) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებების დაფინანსებას, აღნიშნულის განსახორციელებლად 2018 წელს დაგეგმილი იყო 662,23 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 393,42 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 59,41%-ით.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ. ნასამხრალის ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო და ეზოს შემოღობვის, სარინელას მოწყობის და გარე კანალიზაციის დაერთების სამუშაოები, სოფ. გულგულის, ლაფანყურის, ლალისყურის და ართანის საბავშვო ბაღებში გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები, სოფ. კონდოლის, თეთრწყლებისა და წინანდალის საბავშვო ბაღებში სამზარეულოს და სამრეცხაოს რეაბილიტაცია, N 9 ბაგა-ბაღში განხორციელდა ჯგუფების და სპორტული ოთახების რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზია „მერების შეთანხმების“ პროექტის ფარგლებში, საბავშვო ბაღის შენობის სრული თერმო-მოდერნიზაცია განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გათვალისწინებით და ასევე განახლებადი ენერჯის (ბიომასის) მიწოდების ჯაჭვის შექმნა შენობის გათბობის

უზრუნველასყოფად სასოფლო სამეურნეო ნარჩენებით (ვენახის ნასხლავით), 2018 წელს ამ პროექტის ფარგლებში ვერ განხორციელდა საპროექტო და პრაქტიკული სამუშაოები, ღონისძიება განხორციელდება 2019 წელს, აგრეთვე, 2015 წელს ქ. თელავის ბაგა-ბაღებში განხორციელებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, თანხის აუნაზღაურებლობით.

ბ) პროფესიული განათლების ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომელიც ორიენტირებულია სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე. პედაგოგთა ხელშეწყობაზე. 2018 წლის გეგმამ შეადგინა 85,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ 84,31 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,19%-ით.

ა(ა)იპ თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს მრავალი წრე, რომელიც ემსახურებოდა ბავშვთა შემოქმედებითი და ინტელექტუალური ღონის ამადლებას. (ხაზვის, ხატვის, სამეჯლისო და თანამედროვე ცეკვების, ჭადრაკის, კულინარიის, მათემატიკის, უცხო ენების, ქართული ლიტერატურის, დიზაინის, სიმღერის, გიტარის, ლიტერატურული შემოქმედების, თექის, ქარგვის, მოდელირების და დიზაინის, და ა.შ. ... წრე), მოსწავლეებმა წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონკურსებში და ღონისძიებებში, როგორცაა ჭადრაკის ტურნირი, მასტერ-კლასი მოჭადრაკე ბელა ხოტენაშვილთან, ნორჩ მხაზველთა 55-ე კონკურსი ქ. თბილისის ეროვნულ სასახლეში (I ხარისხის დიპლომი), „ცოცხალი წიგნი“- შეხვედრა თანამედროვე პოეტებთან, საახალწლო ტურნირი ჭადრაკში, თექისგან და თიხისგან შექმნეს სხვადასხვა დეკორატიულ ნივთები და სხვა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება რესპუბლიკურ ღონისძიებებზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ორგანიზაციების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

აღნიშნული პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების განხორციელებას, მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის.

2018 წელს განხორციელებული ღონისძიებებით გაიზარდა სპორტის სხვადასხვა სახეობებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა, გაუმჯობესდა სპორტული მიღწევები.

ა.ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

წლის განმავლობაში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზოგიერთი სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

დასრულდა სამუშაოები ალაზნის გამზირზე მშენებარე სპორტული კომპლექსისათვის გარე კომუნიკაციების მოწყობისათვის, რომელიც დაიწყო 2017 წელს. განხორციელდა ქ. თელავში მ. ცალქალამანიძის სახელობის სპორტული სკოლის ეზოს მოასფალტების სამუშაოები, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით სოფ. ვარდისუბანში და კისისხევში მოეწყო ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნები.

დაფინანსდა (თანადაფინანსებით) თელავის საჩოგბურთო კორტებზე ღია საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადი, სადაც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის 1100 მოსწავლემ. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის

დამკვიდრების, ფიზიკურ აქტივობებში და სპორტში ჩართულობის უზრუნველყოფისათვის.

2018 წლის დაზუსტებული გეგმა სულ შეადგენდა 814,66 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 429,97 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 52,78%-ით, გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოცხადებული ტენდერების შედეგით (არ შედგა, მიეცა დისკვალიფიკაცია).

ა.ბ) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ფიზიკურ აქტივობებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობას. მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარებას. ნაკრები გუნდების მომზადებას და მონაწილეობას სხვადასხვა დონის სპორტულ ღონისძიებებში. სპორტული ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა მრავალი სპორტული ღონისძიება და მიიღეს მონაწილეობა ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის გარეთ ჩატარებულ სხვადასხვა ტურნირებში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული ორგანიზაციები: ააიპ თელავის სასპორტო გაერთიანება - დაზუსტებული გეგმა 236,33 ათ.ლარი, საკასო შესრულება 226,97 ათ.ლარი; ააიპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“ - გეგმა 662,44 ათ.ლარი, საკასო შესრულება -662,05 ათ.ლარი; ააიპ თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“ -გეგმა 194,88 ათ.ლარი, საკასო შესრულება 194,78 ათ.ლარი; ააიპ ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი - გეგმა 312,46 ათ.ლარი, საკასო შესრულება - 311,14 ათ.ლარი, 2018 წლის განმავლობაში სპორტული სახეობების შესწავლით დაკავებული იყო 1524 ბავშვი და მოზარდი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული ობიექტები - ჩოგბურთის კორტები, რომელიც მრავალი საერთაშორისო ტურნირის მასპინძელია, საფეხბურთო სკოლა, თ.ანთამის სახელობის სპორტული სკოლა, მ.ცალქალამანიძის სახელობის ჭიდაობის სპორტული სკოლა, ჭადრაკის სახლი, სოფ. სანიორეში მძელოსნობის დარბაზი, სოფ. ვარდისუბანში ჭიდაობის დარბაზი, სოფ. იყალთოში მკლავჭიდის დარბაზი და ა.შ. აღნიშნული ააიპ-ების მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის, მათი მიზანია სპორტის პოპულარიზაცია და მოზარდების სპორტულ აქტივობებში ჩართვა, რომელსაც ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით. ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 10 რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებაში, სადაც დაიკავეს საპრიზო ადგილები (I-II-III), ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ ორგანიზაციული ხელშეწყობით, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციასთან ერთად, თელავის საჩოგბურთო კორტების ბაზაზე ჩატარდა 8 საერთაშორისო ტურნირი, 18 წლამდე ასაკის გოგონათა და ვაჟთა შორის (4 ტურნირი) და მოზარდილთა შორის (ქალები, კაცები ტურნირი). ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავის“ სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შეჯიბრებებში. დაიკავეს საპრიზო ადგილები, აქვთ წარმატებები სამზოში, მიუდოში, კრივში, საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრებმა თურქეთის ქალაქ ანტალიაში დაიკავა I ადგილი სკოლის სპორტსმენების მონაწილეობით. ბავშვებსა და მოზარდებს, შესაძლებლობა აქვთ გარდა ქ. თელავში არსებული სპორტული ობიექტებისა, ივარჯიზონ აგრეთვე სოფლად არსებულ სპორტ.დარბაზებში, რაც მათთვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის დაკავდნენ სპორტით. ააიპ სპორტულ კლუბთა გაერთიანებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული სექცია: კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, რაგბი, ბილიარდი, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული ტირი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი. წლის განმავლობაში ჩატარებულ საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ შეჯიბრებებზე სპორტსმენები იკავებდნენ საპრიზო ადგილებს (I, II, III) კალათბურთის გუნდმა ლატვიის ქალაქ ტალსში, საერთაშორისო ტურნირზე დაიკავა I ადგილი. ააიპ სპორტულ კლუბთა გაერთიანებამ ორგანიზება გაუწია საერთაშორისო ტურნირის სწრაფ ჭადრაკში „ლელას და ბელას თასი“, და ბილიარდის

საერთაშორისო ტურნირს „TELAVI OPEN 2018“. ჩატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო როგორც სპორტის, ასევე ტურიზმის განვითარებას თელავში.

2018 წლის დაზუსტებული გეგმა სულ შეადგენდა 1406,10 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1394,94 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 99,21%-ით.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს უწყობს ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

2018 წელს განხორციელებული ღონისძიებებით გაიზარდა ბავშვების დაინტერესება ხელოვნების დარგების მიმართ, ფესტივალებზე და კონკურსებზე მონაწილეების რაოდენობა, წარმოჩინდნენ ნიჭიერი ბავშვები.

ბ.ა) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ორგანიზაციები, რომელთა 2018 წლის დაფინანსებებმა შეადგინა: ა(ა)იპ თელავის ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი - გეგმა 110,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 109,67 ათ.ლარი; ა(ა)იპ ქ.თელავის #1 სამუსიკო სკოლა - გეგმა 83,5 ათ.ლარი, საკასო შესრულება 83,50 ათ.ლარი; ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - #2 სამუსიკო სკოლა - გეგმა 77,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 77,0 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა - გეგმა 70,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 70,0 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება - გეგმა 234,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 233,97 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი - გეგმა 725,16 ათ. ლარი, საკასო შესრულება 684,71 ათ.ლარი; სსიპ ქ.თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - გეგმა 8,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 8,0 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი - გეგმა 50,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 49,87 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა - გეგმა 54,45 ათ. ლარი, საკასო შესრულება 54,45 ათ. ლარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა - გეგმა 106,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 105,29 ათ. ლარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა - გეგმა 49,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 48,98 ათ. ლარი.

2018 წელს კულტურის ორგანიზაციების დაფინანსება შეადგენდა 1567,11 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1525,45 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 97,34 %-ით.

სამუსიკო სკოლებში ფუნქციონირებს სწავლება შემდეგი სპეციალობებით: ფორტეპიანოს, ვიოლინოს, გიტარის, ხალხური საკრავების, საგუნდო, სოლო და საესტრადო სიმღერის. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს როგორც შიდა სასკოლო ღონისძიებებში, ასევე ადგილობრივ ღონისძიებებში, წარმატებას მიაღწიეს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ფესტივალ კონკურსებში. მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ლაურეატის დიპლომებით, ოქროს და ვერცხლის მედლებით. ა(ა)იპ თელავის ხალხური სიმღერის და ცეკვის ანსამბლის ფუნქციონირების მიზანია ბავშვებსა და მოზარდებში ქართული ფოლკლორული ხელოვნების განვითარება და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნება. აღნიშნული ორგანიზაციის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ფესტივალებსა და კონცერტებში. 2018 წელს ანსამბლი იმყოფებოდა ბელორუსიაში, თელავის

მუნიციპალიტეტთან დამეგობრებულ ქალაქ გლუბოკოეში, „ალუბლების ფესტივალ 2018“-ში მონაწილეობის მისაღებად, გააცნეს ქართული კულტურა, გაღრმავდა შემოქმედებითი ურთიერთობები. 2018 წელს თელავის ელ. ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის მიერ ორგანიზებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მოსწავლეების ხელოვნებასთან ზიარებას, პიროვნების ინდივიდუალურ შემოქმედებით მიდრეკილების განვითარებას. მხატვრული აღქმის საკუთარი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. თელავის ელ. ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლაში გარდა ძირითადი სამხატვრო მიმართულებებისა, საფუძველი ეყრება ანიმაციის მიმართულებას, 2018 წელს ბულგარეთში და ქ. თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალებზე ამ ჯგუფის ორი მოსწავლე დაჯილდოვდნენ სპეციალური დიპლომებით. სკოლაში დანერგილი საგაზაფხულო პრაქტიკით, ბავშვები გაეცნენ ქ. თელავის ძველი უბნების სახეს, განუვითარდათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. სკოლის ათმა კურსდამთავრებულმა სწავლა განაგრძო ქ. თბილისის ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (არქიტექტურის ფაკულტეტი), რაც სკოლის წარმატებულ შედეგზე მიუთითებს.

წიგნის პროპაგანდის და მოსახლეობის ჩაბმის საბიბლიოთეკო წიგნის კითხვაში, ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ ჩაატარა სხვადასხვა ღონისძიებები: ლიტერატურული-თემატური გამოფენების მოწყობა, ლიტერატურის საროკემენდაციო სიების შედგენა და მკითველებამდე დაყვანა, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, წიგნის განხილვები, შეხვედრები ავტორებთან, პოეზიის საღამოები, თემატური საღამოები, ზღაპრის დღეები და სხვა. განახლდა წიგნადი ფონდი.

ადგილობრივი, საერო, რელიგიური და სხვადასხვა დღესასწაულების აღნიშვნა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის, რომლის ხელისშემწყობი და განმახორციელებელია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი. წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები: ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალები (ბავშვთა და მოზარდთა საერთაშორისო ფესტივალი „თელავი-მაისი“; ანიმაციური ფილმების ფესტივალი; ცეკვის ფესტივალი; ფლეიტების ფესტივალი; „თელავინო“; კახური სიმღერის ფესტივალი; ტკბილი ფესტივალი; ხალხური შემოქმედების ყოველწლიური ფესტივალი „შენ ხარ ვენახი“; კლასიკური მისიკის ფესტივალი „ქება ვაზისა“; ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“) რომლის მიზანია ხალხური შემოქმედების და ხელოვნების პოპულარიზაცია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ; საიუბილეო საღამოები; შეხვედრა გამოჩენილ ადამიანებთან; გამოფენები – (სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა გამოფენა „გაზაფხული“; ლესია უკრაინკას ნამუშევრების გამოფენა; გამოფენა „ელენობა“-სთან დაკავშირებით; თორნიკე გაგნიძის პერსონალური გამოფენა; თვითნასწავლ ხელოვან ქალთა ნაქარგების გამოფენა; კინოლოგთა ფედერაციასთან ერთად ძაღლების გამოფენა საერთაშორისო მასშტაბით; ზვიად მექვაბიშვილის პერსონალური გამოფენა). საქველმოქმედო ღონისძიება (ხელოვნების სააგენტო „არტ პროდუსინგი“ – ს მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, უსინათლო ბავშვთა ფონდის დასახმარებლად – ტარიელ სუარის კონცერტი (თანადაფინანსება); შალვა დავითაშვილის სახელობის კონკურსი – პროექტის მიზანია კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის და სხვა ქართველი კომპოზიტორების და შემოქმედების გაცნობა საქართველოს სხვადასხვა სამუსიკო სკოლებში, მოზარდი თაობის მუსიკოსების დაახლოვება და მათ გემოვნებიან მსმენელად აღზრდა. სხვადასხვა ღონისძიებები - აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფ. ალიბეგლოს სახ. ქართული დრამატული თეატრის სპექტაკლი; სიმფონიატა; „დამე მუზეუმის ეზოში“; სუხიშვილების კონცერტი; ახალი წლის ღონისძიება „ქართული ხმები“- ს და „ თბილისის ბიგ-ბენდი“-ს მონაწილეობით; მუნიციპალიტეტის სოფლების სახალხო ღონისძიებები.

კულტურის ცენტრში არსებული ანსამბლები აქტიურად არიან ჩართულნი ქვეყნის შიგნით და გარეთ დაგეგმილ ღონისძიებებში, ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „თელავ“-მა – მონაწილეობა მიიღო „არტგენის“ ფესტივალზე. ანსამბლი „წინანდალი“ იყო მიწვეული ლიტვის რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე

მონაწილეობის მისაღებად. ბენდი „მუსიკის ქალაქი“ მიწვეული იყო გერმანიაში, ბიბერახის და თელავის დაძმობილების 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე.

კულტურული ღონისძიებები ემსახურება მოსახლეობის როგორც სულიერი და კულტურული თვითშეგნების ამაღლებას, ასევე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მიმართ ინტერესს და ტურიზმის განვითარებას.

ბ.ბ.) კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 115,93 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 62,69 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 54,07%-ით, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტიქიისაგან დაზიანებული ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლის სახურავის და ელ. გაყვანილობის აღდგენა, სოფ. ვანთაში კულტურის სახლის სახურავის აღდგენა, შეძენილ იქნა საახალწლო ნაძვის ხე, პროგრამის ფარგლებში გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ტენდერიდან წარმოშობილი ეკონომიით და ღონისძიების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტით ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

გ) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების და ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას, ახალგაზრდობის ჩართულობას სხვადასხვა ღონისძიებებში. აღნიშნულის განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 60,54 ათ.ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 52,83 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 87,27%-ით.

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები. განხორციელდა ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭრა, ასევე ახალგაზრდებში კულტურული თვითშეგნების ამაღლების მიზნით ისტორიული მეცნიერებებით დაინტერესებულ სკოლის მოსწავლეებს მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ არქეოლოგიას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და მოვლა პატრონობის მნიშვნელობას. აჭარაში, გონიო - აფსაროსის რომაული ხანის ციხის ტერიტორიაზე მონაწილეობდნენ არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ამასთან მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამუშაოებში (კერამიკის აღწერა, რესტავრაცია, დღიურის წარმოება, სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა), მოისმინეს სემინარები ექსპედიციის ხელმძღვანელებისგან და მუზეუმის მეცნიერ - თანამშრომლებისგან როგორც უშუალოდ აფსაროსის ციხის ისტორიაზე, ასევე აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის რომაულ ციხესიმაგრეებზე („პონტოს ლიმესი“), დაათვალიერეს ბათუმის მხარეთმცოდნეობის და არქეოლოგიური მუზეუმები, სარფის ეთნოგრაფიულ - არქეოლოგიური მუზეუმი, გონიოს მუზეუმი. ახალგაზრდები შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდნენ. რამდენიმე მოსწავლემ მომავალ პროფესიად არქეოლოგიის არჩევა გადაწყვიტა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის წარჩინებულმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონში“; რომელშიც ჩართული იყო სკოლის 64 მოსწავლე, მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის ჩატარდა ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?- მონაწილეობას იღებდა 160 მოსწავლე, პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ წიგნების შესაძენი სასაჩუქრე ვაუჩერები. ჩატარდა ახალგაზრდული საახალწლო შეხვედრა.

აგრეთვე, 2018 წელს განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტსა და სამხრეთ კავკასიის GIZ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „დასაქმების უნარების განვითარება თელავისა და შეკის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდებში“, ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებები.

დ) ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს დაფინანსება.

პროგრამა 2018 წელს დაფინანსდა 40,0 ათ. ლარით. გეგმა შესრულდა 100%-ით.

ე) ძეგლთა დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში მუდმივად მიმდინარეობდა კულტურული და ისტორიული

ძეგლების აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა, საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება/შესყიდვა, რეაბილიტაცია, თანამშრომლობა შესაბამის ორგანიზაციებთან. პროგრამის გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისათვის დაგეგმილი იყო 116,0 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 48,94 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 42,19%-ით. პროგრამის ფარგლებში ქ. თელავში - დაბახნების, ზუზუმბოს, მაწანწარის, ყადორის ბორცვზე და სოფ. თეთრწყლებში კუნტუსის ნაქალაქარის ტერიტორიებზე ჩატარდა სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოები, სამუშაოების დროს გამოვლინდა აქამდე უცნობი ძეგლები. განხორციელდა კვირიკეს ციხის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, არქეოლოგიურ ობიექტზე მოეწყო დროებითი გადახურვა, რომელიც დაიცავს მას ბუნებრივი ზემოქმედებისაგან და შენარჩუნდება არქეოლოგიური კვლევების გაგრძელებამდე. ჩატარებული ღონისძიებებით შენარჩუნდება კულტურული მემკვიდრების ძეგლები, საინტერესო ხდება დამთვალიერებლებისათვის, ხელს უწყობს თელავის ისტორიის შესწავლას. გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ტენდერების შედეგით (არ შედგა).

ვ) დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 256,4 ათ. ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 47,41 ათ. ლარით, გეგმა შესრულდა 18,49%-ით, 2018 წელს განხორციელდა ქ. თელავში ზუზუმბოს ქუჩაზე ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობა (ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წელს), გეგმის ფარგლებში დაიწყო ქ. თელავში ყადორის სკვერის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმდა 26,11,2018 წ, სამუშაოების დასრულება - 2019 წელს), რამაც გამოიწვია ნაწილობრივ გეგმის შეუსრულებლობა, გეგმის შეუსრულებლობა აგრეთვე გამოწვეულია ქ. თელავში დასვენების პარკ „ნადიკვარ“-ზე სცენის და სკამების ნაწილობრივ გადახურვის სამუშაოების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხის აუთვისებლობით.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, - მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისა და სოციალური სფეროს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი, ახალშობილთა ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)

ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. პროგრამის განხორციელების მიზანია ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა პროფილაქტიკური და დაავადებათა პრევენციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები: წწყ საწინააღმდეგო ვაქცინით დამატებით აიცრა 1028 ბენეფიციარი, მალარიის და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ლეიშმანიოზი და სხვა) დაავადების პრევენციის მიზნით ჩატარდა შენობების ინსექტიციდებით დამუშავება. შედგა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა ორგანიზაციებთან აცრების, C ჰეპატიტის სკრინინგის, ცხოვრების ჯანსაღი წესის, კიბოს სკრინინგის პროგრამების, და სხვა საკითხების შესახებ. აგრეთვე განხორციელდა სტიქიისაგან დაზიანებული სამედიცინო დაწესებულებების აღდგენა/შეკეთების ღონისძიებები. 2018 წლის გეგმამ შეადგინა 131,68 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ 131,49 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,85%-ით.

ბ) სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02) პროგრამა ითვალისწინებს

ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ავადმყოფთა, გაჭირვებულთა და სოციალურად დაუცველ პირთათვის, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორცაა ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც სოციალურად დაუცველი ახალშობილთა ოჯახების(ერთჯერად) დამრავალშვილიანი ოჯახების(ყოველთვიურად) ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირებზე ზრუნვა, მათი კვებით უზრუნველყოფა. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მედიკამენტებითა და სამედიცინო დახმარების მომსახურების დაფინანსება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსებას, გარდაცვლილ ვეტერანთა, დევნილთა, უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების, სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ღონისძიებების დაფინანსება და სხვა.

ბ.ა)ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა სამედიცინო დაწესებულებამდე ტრანსპორტირების თანადაფინანსებას, ანაზღაურება ხორციელდება ყოველთვიურად. ქვეპროგრამით ისარგებლა 38 ბენეფიციარმა. დაგეგმილი იყო 25,67 ათ. ლარი საკასო შესრულებამ შეადგინა 25,67 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 100%-ით.

ბ.ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა და ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე შშმპ შვილების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე შშმპ, აგრეთვე ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციაზე მონაწილე მცირეწლოვან შვილებზე (18 წლამდე) ყოველთვიურ ფულად დახმარებას. ქვეპროგრამაში ჩართული იყო 6 შშმ პირის 8 არასრულწლოვანი ბავშვი. 2018 წელს დაგეგმილი იყო 12,15 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 12,15 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

ბ.გ) სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის სათბობით უზრუნველყოფისათვის ერთჯერად ფულად დახმარებას. 2018 წლის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 725,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ 689,40 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 95,09%-ით. პროგრამით ისარგებლა 2660 ბენეფიციარმა.

ბ.დ) უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 03)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „უმწეოთა და უპოვართა სამსახური“ – 2018 წელი დაგეგმილი იყო - 280,09 ათ.ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 280,06 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,99%-ით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად გაჭირვებულ პირთა ყოველდღიურ უფასო სადილს, რაც უმარტივეს მათ ყოველდღიურ აუცილებელ საზრუნავს და შეძლებისდაგვარად ამსუბუქებს მათ სოციალურ მდგომარეობას. სამსახური აახორციელებს ასევე ბინაზე მიტანის სერვისს, იმ ბენეფიციარებისათვის რომელთაც არ შეუძლიათ ადგილზე მისვლა. ბენეფიციარებისათვის შექმნილია გარემო სადაც კომფორტულად იგრძნობენ თავს. 2018 წელს უფასო სასადილოთი მომსახურება გაეწია 395 ბენეფიციარს.

ბ.ე) ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვლილი სამამულო ომის მონაწილეების და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დაკრძალვის ხარჯების გაღებას აგრეთვე, ხორციელდება გარდაცვლილი დევნილის და უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვისათვის თანხის გამოყოფას. პროგრამის მიზანია აღნიშნული ოჯახებისათვის თანაგრძნობის გამოხატვა და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვისათვის შესაბამისი პატივის მიცემა. 2018 წელს დაგეგმილი იყო 6,75 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2,95 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 43,7%-ით.

ბ.ვ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოჯახში ახალშობილთა დაბადებისას ოჯახების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას და აგრეთვე, მრავალშვილიანი ოჯახებზე, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას. 2018 წელს აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 34 ახალდაბადებულთა ოჯახმა და 92 მრავალშვილიანმა ოჯახმა, დაგეგმილი იყო 118,39 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 117,97 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 99,65%-ით.

ბ.ზ) ვეტერანთა საზოგადოება(პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამამულო და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა ორგანიზაციების ხელშეწყობას. დაგეგმილი იყო 4,0 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 4,0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

ბ.თ) მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის და კომუნალური გადასახადებზე ხელშეწყობის ღონისძიებების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მარჩენალდაკარგულთა ოჯახების, იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების, მრავალშვილიანი ოჯახების, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (I ჯგუფი) და შშმ ბავშვების ოჯახების, მარტოხელა მშობლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადის თანადაფინანსება, ქვეპროგრამაში ჩართულია 388 ოჯახი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო აგრეთვემთელი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის ტრანსპორტით მომსახურება,იმ სოფლებში, სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა. ტრანსპორტის მომსახურებით ისარგებლა სოფ. ლაფანყურის, სოფ. ნასამხრალის და სოფ. თეთრწყლების მოსახეობამ.

ქვეპროგრამების განსახორციელებლად 2018 წელს დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 65,39 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 58,06 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 88,78%-ით.

ბ.ი) დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფისათვის ბინის ქირისათვის დაფინანსებას; ქვეპროგრამით ისარგებლა 67 ბენეფიციარმა, დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 39,32 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 39,02 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 99,24%-ით.

ბ.კ) სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამით ხორციელდება საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის ფულადი ან სხვა სახით საჩუქრების შეძენა/გადაცემას და ღონისძიებების მოწყობას (მრავალშვილიანი ოჯახები (სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს.), უღედმამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები, მკვეთრადგამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, შშმ სტატუსის მქონე ბავშვები, ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მარტოხელა მშობლები (ვისაც ყავს 18 წლამდე ასაკის შვილები), მარჩენალდაკარგული ოჯახები (ვისაც ყავს 18 წლამდე ასაკის შვილები), ახალშობილთა ოჯახები). ქვეპროგრამით ისარგებლა 846 ბენეფიციარმა, დაგეგმილი იყო 53,28 ათ.ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 34,35 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 64,48%-ით, გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია საახალწლო ამანათების შესყიდვისათვის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის ღირებულების 2019 წელს ანაზღაურებით.

ბ.ლ) სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამით ხორციელდება გაჭირვებული სოციალური ფენის ბენეფიციართა მედიკამენტებით და სამედიცინო დახმარების დაფინანსება. ქვეპროგრამით ისარგებლა 917 ბენეფიციარმა, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 297,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ - 269,79 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 90,58%-ით.

ბ.მ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამით განხორციელდა შ.შ.პ.პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯების თანადაფინანსება, აგრეთვე თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმძიმესი საწარმოო ტრამვის შედეგად დაზარალებული პირისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემა. 2018 წლის დაზუსტებული გეგმა იყო 13,18 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 13,18 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

ორგანიზაციული კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
1	სულ ჯამი	29,586.24	8,546.35	21,039.88	24,381.68	5,967.90	18,413.78
	ხარჯები	17,556.16	721.51	16,834.65	16,303.52	549.54	15,753.98
	შრომის ანაზღაურება	2,772.50	0.00	2,772.50	2,551.13	0.00	2,551.13
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11,662.17	7,824.84	3,837.33	7,710.26	5,418.36	2,291.90
	ვალდებულებების კლება	367.90	0.00	367.90	367.90100	0.00	367.901000
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4,500.63	0.00	4,500.63	4,055.34	0.00	4,055.34
	ხარჯები	4,096.87	0.00	4,096.87	3,683.26	0.00	3,683.26
	შრომის ანაზღაურება	2,670.70	0.00	2,670.70	2,452.25	0.00	2,452.25
	არაფინანსური აქტივების ზრდა	35.85	0.00	35.85	4.17	0.00	4.17
	ვალდებულებების კლება	367.90	0.00	367.90	367.90	0.00	367.90
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	872.13	0.00	872.13	769.94	0.00	769.94
	ხარჯები	857.13	0.00	857.13	769.94	0.00	769.94
	შრომის ანაზღაურება	497.00	0.00	497.00	473.95	0.00	473.95
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15.00	0.00	15.00	0.00	0.00	0.00
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	2,978.14	0.00	2,978.14	2,697.93	0.00	2,697.93
	ხარჯები	2,957.29	0.00	2,957.29	2,693.76	0.00	2,693.76
	შრომის ანაზღაურება	2,173.70	0.00	2,173.70	1,978.30	0.00	1,978.30
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.85	0.00	20.85	4.17	0.00	4.17
01 03	სარეზერვო ფონდი	62.80	0.00	62.80	0.00	0.00	0.00
	ხარჯები	62.80	0.00	62.80	0.00	0.00	0.00

ორგანიზაციული კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	572.55	0.00	572.55	572.47	0.00	572.47
	ხარჯები	204.65	0.00	204.65	204.57	0.00	204.57
	ვალდებულებების კლება	367.90	0.00	367.90	367.90	0.00	367.90
01 04 01	მგფ-ის და სხვა დავალიანებების დაფარვა	572.55	0.00	572.55	572.47	0.00	572.47
	ხარჯები	204.65	0.00	204.65	204.57	0.00	204.57
	ვალდებულებების კლება	367.90	0.00	367.90	367.90	0.00	367.90
01 05	ააიპ კახეთის განვითარების სააგენტო	15.00	0.00	15.00	15.00	0.00	15.00
	ხარჯები	15.00	0.00	15.00	15.00	0.00	15.00
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	259.75	0.00	259.75	168.44	0.00	168.44
	ხარჯები	199.00	0.00	199.00	133.50	0.00	133.50
	შრომის ანაზღაურება	101.80	0.00	101.80	98.87	0.00	98.87
	არაფინანსური აქტივების ზრდა	60.75	0.00	60.75	34.94	0.00	34.94
02 02	ქვეყნის, თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	199.20	0.00	199.20	133.50	0.00	133.50
	ხარჯები	190.00	0.00	190.00	133.50	0.00	133.50
	შრომის ანაზღაურება	101.80	0.00	101.80	98.87	0.00	98.87
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9.20	0.00	9.20	0.00	0.00	0.00
02 03	საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა	60.55	0.00	60.55	34.94	0.00	34.94
	ხარჯები	9.0	0.0	9.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	51.55	0.00	51.55	34.94	0.00	34.94
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	13,737.19	7,863.13	5,874.06	10,246.77	5,528.48	4,718.290160
	ხარჯები	4,115.68	721.51	3,394.17	3,588.61	549.54	3,039.07
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,621.51	7,141.62	2,479.89	6,658.16	4,978.94	1,679.22

ორგანიზაციული კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	7,808.92	6,384.18	1,424.74	5,668.49	4,607.89	1,060.59
	ხარჯები	469.65	177.00	292.65	330.57	71.40	259.17
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,339.27	6,207.18	1,132.09	5,337.92	4,536.49	801.42
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5,110.16	1,478.95	3,631.21	3,993.94	920.59	3,073.35
	ხარჯები	3,469.22	544.51	2,924.71	3,099.53	478.14	2,621.40
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,640.94	934.44	706.50	894.40	442.45	451.95
03 02 01	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	1,035.84	417.91	617.93	698.51	375.97	322.54
	ხარჯები	1,035.84	417.91	617.93	698.51	375.97	322.54
03 02 02	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	864.47	36.83	827.64	852.62	33.94	818.68
	ხარჯები	742.04	0.00	742.04	741.14	0.00	741.14
	არაფინანსური აქტივების ზრდა	122.43	36.83	85.60	111.48	33.94	77.54
03 02 03	გარემოს დაცვითი ღონისძიებები	1,131.23	263.75	867.48	887.09	102.17	784.92
	ხარჯები	912.08	126.60	785.48	887.09	102.17	784.92
	არაფინანსური აქტივების ზრდა	219.15	137.15	82.00	0.00	0.00	0.00
03 02 03 01	დასუფთავების ღონისძიებები	767.45	0.00	767.45	734.93	0.00	734.93
	ხარჯები	735.45	0.00	735.45	734.93	0.00	734.93
	არაფინანსური აქტივების ზრდა	32.00	0.00	32.00	0.00	0.00	0.00
03 02 03 02	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებები	237.15	137.15	100.00	49.96	0.00	49.96
	ხარჯები	50.00	0.00	50.00	49.96	0.00	49.96
	არაფინანსური აქტივების ზრდა	187.15	137.15	50.00	0.00	0.00	0.00

ორგანიზაციული კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
03 02 03 03	გარემოს დაცვის ღონისძიებები	126.63	126.60	0.03	102.20	102.17	0.03
	ხარჯები	126.63	126.60	0.03	102.20	102.17	0.03
03 02 04	სასმელი წყლის „სოკო“	5.00	0.00	5.00	2.52	0.00	2.52
	ხარჯები	5.00	0.00	5.00	2.52	0.00	2.52
03 02 05	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	25.00	25.00	0.00	0.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	25.00	25.00	0.00	0.00	0.00	0.00
03 02 06	წყალმომარაგების ღონისძიებები	2,028.16	735.46	1,292.70	1,533.35	408.51	1,124.84
	ხარჯები	754.21	0.00	754.21	750.83	0.00	750.83
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,273.96	735.46	538.50	782.52	408.51	374.01
03 02 08	საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები	20.46	0.00	20.46	19.84	0.00	19.84
	ხარჯები	20.06	0.00	20.06	19.44	0.00	19.44
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.40	0.00	0.40	0.40	0.00	0.40
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	803.11	0.00	803.11	569.35	0.00	569.35
	ხარჯები	161.81	0.00	161.81	143.51	0.00	143.51
	არაფინანსური აქტივების ზრდა	641.30	0.00	641.30	425.84	0.00	425.84
03 03 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები	708.61	0.00	708.61	474.92	0.00	474.92
	ხარჯები	67.31	0.00	67.31	49.09	0.00	49.09
	არაფინანსური აქტივების ზრდა	641.3	0.0	641.3	425.84	0.00	425.84
03 03 02	პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებელი ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	60.00	0.00	60.00	59.98	0.00	59.98
	ხარჯები	60.00	0.00	60.00	59.98	0.00	59.98

ორგანიზაციული კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
03 03 03	სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	34.50	0.00	34.50	34.44	0.00	34.44
	ხარჯები	34.50	0.00	34.50	34.44	0.00	34.44
03 04	მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები	15.00	0.00	15.00	15.00	0.00	15.00
	ხარჯები	15.0	0.0	15.0	15.00	0.00	15.00
04 00	განათლება	4,939.23	361.53	4,577.70	4,630.84	163.10	4,467.74204
	ხარჯები	4,256.93	0.00	4,256.93	4,217.35	0.00	4,217.35
	არაფინანსური აქტივების ზრდა	682.30	361.53	320.77	413.49	163.10	250.40
04 01	სკოლამდელი განათლება	4,854.23	361.53	4,492.70	4,546.53	163.10	4,383.43
	ხარჯები	4,171.93	0.00	4,171.93	4,133.04	0.00	4,133.04
	არაფინანსური აქტივების ზრდა	682.30	361.53	320.77	413.49	163.10	250.40
04 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	4,192.00	0.00	4,192.00	4,153.11	0.00	4,153.11
	ხარჯები	4,171.93	0.00	4,171.93	4,133.04	0.00	4,133.04
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.07	0.00	20.07	20.07	0.00	20.07
04 01 02	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	662.23	361.53	300.70	393.42	163.10	230.32
	ხარჯები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	662.23	361.53	300.70	393.42	163.10	230.32
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	85.00	0.00	85.00	84.31	0.00	84.31
	ხარჯები	85.00	0.00	85.00	84.31	0.00	84.31
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	4,376.75	321.70	4,055.05	3,602.23	276.32	3,325.91
	ხარჯები	3,127.48	0.00	3,127.48	3,015.20	0.00	3,015.20
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,249.27	321.70	927.57	587.02	276.32	310.70
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2,220.76	269.21	1,951.55	1,824.90	231.66	1,593.24
	ხარჯები	1,402.16	0.00	1,402.16	1,387.53	0.00	1,387.53

ორგანიზაციული კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
	არაფინანსური აქტივების ზრდა	818.59	269.21	549.39	437.37	231.66	205.71
05 01 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	814.66	269.21	545.45	429.97	231.66	198.30
	ხარჯები	64.66	0.00	64.66	60.76	0.00	60.76
	არაფინანსური აქტივების ზრდა	749.99	269.21	480.79	369.20	231.66	137.54
05 01 02	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	1,406.10	0.00	1,406.10	1,394.94	0.00	1,394.94
	ხარჯები	1,337.50	0.00	1,337.50	1,326.76	0.00	1,326.76
	არაფინანსური აქტივების ზრდა	68.60	0.00	68.60	68.17	0.00	68.17
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,683.05	52.49	1,630.56	1,588.14	44.66	1,543.48
	ხარჯები	1,555.51	0.00	1,555.51	1,499.08	0.00	1,499.08
	არაფინანსური აქტივების ზრდა	127.53	52.49	75.05	89.06	44.66	44.40
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	1,567.11	0.00	1,567.11	1,525.45	0.00	1,525.45
	ხარჯები	1,538.41	0.00	1,538.41	1,497.05	0.00	1,497.05
	არაფინანსური აქტივების ზრდა	28.70	0.00	28.70	28.40	0.00	28.40
05 02 02	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	115.93	52.49	63.44	62.69	44.66	18.03
	ხარჯები	17.10	0.00	17.10	2.03	0.00	2.03
	არაფინანსური აქტივების ზრდა	98.83	52.49	46.35	60.66	44.66	16.00
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების და ღონისძიებების ხელშეწყობა	60.54	0.00	60.54	52.83	0.00	52.83
	ხარჯები	58.81	0.00	58.81	52.83	0.00	52.83
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.74	0.00	1.74	0.00	0.00	0.00
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.00	0.00	40.00	40.00	0.00	40.00
	ხარჯები	40.00	0.00	40.00	40.00	0.00	40.00
05 05	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები	116.00	0.00	116.00	48.94	0.00	48.94

ორგანიზაციული კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	71.00	0.00	71.00	35.76	0.00	35.76
	არაფინანსური აქტივების ზრდა	45.00	0.00	45.00	13.18	0.00	13.18
05 06	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	256.40	0.00	256.40	47.41	0.00	47.41
	არაფინანსური აქტივების ზრდა	256.40	0.00	256.40	47.41	0.00	47.41
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,772.70	0.00	1,772.70	1,678.06	0.00	1,678.06
	ხარჯები	1,760.20	0.00	1,760.20	1,665.58	0.00	1,665.58
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.50	0.00	12.50	12.48	0.00	12.48
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებები	131.68	0.00	131.68	131.49	0.00	131.49
	ხარჯები	131.68	0.00	131.68	131.49	0.00	131.49
06 01 01	ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	80.80	0.00	80.80	80.77	0.00	80.77
	ხარჯები	80.80	0.00	80.80	80.77	0.00	80.77
06 01 02	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	50.88	0.00	50.88	50.72	0.00	50.72
	ხარჯები	50.9	0.0	50.9	50.72	0.00	50.72
06 02	სოციალური პროგრამები	1,641.02	0.00	1,641.02	1,546.57	0.00	1,546.57
	ხარჯები	1,628.51	0.00	1,628.51	1,534.09	0.00	1,534.09
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.50	0.00	12.50	12.48	0.00	12.48
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	25.67	0.00	25.67	25.67	0.00	25.67
	ხარჯები	25.67	0.00	25.67	25.67	0.00	25.67
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	737.15	0.00	737.15	701.55	0.00	701.55
	ხარჯები	737.15	0.00	737.15	701.55	0.00	701.55
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა და ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე შშმ შვილების სოციალური დაცვა	12.15	0.00	12.15	12.15	0.00	12.15

ორგანიზაციული კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	12.15	0.00	12.15	12.15	0.00	12.15
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	725.00	0.00	725.00	689.40	0.00	689.40
	ხარჯები	725.00	0.00	725.00	689.40	0.00	689.40
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	280.09	0.00	280.09	280.06	0.00	280.06
	ხარჯები	267.58	0.00	267.58	267.58	0.00	267.58
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.5	0.0	12.5	12.48	0.00	12.48
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	6.75	0.00	6.75	2.95	0.00	2.95
	ხარჯები	6.75	0.00	6.75	2.95	0.00	2.95
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	118.39	0.00	118.39	117.97	0.00	117.97
	ხარჯები	118.39	0.00	118.39	117.97	0.00	117.97
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	4.00	0.00	4.00	4.00	0.00	4.00
	ხარჯები	4.00	0.00	4.00	4.00	0.00	4.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის და კომუნალურ გადასახადებზე დახმარების ღონისძიებები	65.39	0.00	65.39	58.06	0.00	58.06
	ხარჯები	65.39	0.00	65.39	58.06	0.00	58.06
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	39.32	0.00	39.32	39.02	0.00	39.02
	ხარჯები	39.32	0.00	39.32	39.02	0.00	39.02
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები	53.28	0.00	53.28	34.35	0.00	34.35
	ხარჯები	53.28	0.00	53.28	34.35	0.00	34.35
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	297.80	0.00	297.80	269.76	0.00	269.76
	ხარჯები	297.80	0.00	297.80	269.76	0.00	269.76
06 02 12	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	13.18	0.00	13.18	13.18	0.00	13.18
	ხარჯები	13.18	0.00	13.18	13.18	0.00	13.18

სულ გადასახდელების დაზუსტებული გეგმა (მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების და ვალდებულებების კლების მუხლის გათვალისწინებით)

შეადგენდა - 29586,24 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 24381,68 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 82,41%-ით. საკუთარი შემოსულობების გათვალისწინებით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 21039,88 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 18413,78 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 87,52%-ით.

ნაშთის შესახებ

2018 წლის 01 იანვრისათვის თელავის მუნიციპალიტეტის ნაშთმა შეადგინა - 3689.79 ათ. ლარი (აქედან 1402,26 ათ. ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან და მიზნობრივი ტრანსფერიდან ნაშთი, 2287,54 ათ. ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთი), რომელიც ითვალისწინებს აღებული ვალდებულებების ასანაზღაურებელ თანხებს, თავისუფალ ნაშთს (მათ შორის ჭარბი შემოსავლები);

2019 წლის 01 იანვრისათვის თელავის მუნიციპალიტეტის ნაშთმა შეადგინა - 5820.39 ათ. ლარი (აქედან 2252,05 ათ. ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან ნაშთი და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთი, 3568,34 ათ. ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთი); რომელიც ითვალისწინებს აღებული ვალდებულებების ასანაზღაურებელ თანხებს, თავისუფალ ნაშთს (მათ შორის ჭარბი შემოსავლები);

ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 2130,60 ათ. ლარი.

დასახელება	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	25945.50	7193.15	18752.34	26512.28	6629.37	19882.90
შემოსავლები	25445.50	7193.15	18252.34	26047.62	6629.37	19418.25
არაფინანსური აქტივების კლება	500.00	0.00	500.00	464.65	0.00	464.65
გადასახდელები	29218.34	8546.35	20671.98	24013.78	5967.90	18045.87
ხარჯები	17556.16	721.51	16834.65	16303.52	549.54	15753.98
არაფინანსური აქტივების ზრდა	11662.17	7824.84	3837.33	7710.26	5418.36	2291.90
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების კლება	367.90	0.00	367.90	367.90	0.00	367.90
ნაშთის ცვლილება	-3640.74	-1353.20	-2287.54	2130.60	661.47	1469.13

თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის ანგარიში

2018 წელს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 37,19766 ათ ლარი:

1. 7,9 ათ. ლარი - 2018 წლის 10 იანვარს მომხდარი სტიქიის (ქარიშხალი) შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად (ბრძ.#16- 10,01,2018წ.);

2. 0,85 ათ. ლარი - 2018 წლის 09 ივნისს ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზაზე მომხდარი ავტოკატორის შედეგად დაღუპული 4 ადამიანის დანიშნულების ადგილამდე გადასვენების უზრუნველყოფის მიზნით (ბრძ. #870 - 09,06,2018წ.);

3. 28.44766 ათ. ლარი - 2018 წლის 18 აგვისტოს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველსაყოფად (ბრძ. #1261 – 20,08,2018წ).

თელავის მუნიციპალიტეტის მიერ წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ 2018 წლის ანგარიში

2018 წელს, თელავის მუნიციპალიტეტის მიერ წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდიდან გაიხარჯა 572,47 ათასი ლარი (გეგმა შესრულდა 99,99%-ით) საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ თელავის მუნიციპალიტეტში წინა წლებში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებისათვის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად.

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი
წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	572.55	572.47
ხარჯები	204.65	204.57
ვალდებულებების კლება	367.90	367.90